

შპს სპექტრი ს/კ 424615232

**ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის**

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
საერთო კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
რისკების მართვა	11
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობა

მიმდინარე აქტივები		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	1,947,826.00	598,366.00	1,337.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	46,350.00	-
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		-	31,523.00	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	66,833.00	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები				
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	2	297,498.00	42,746.00	42,744.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2	44,080.00	44,080.00	-
სულ აქტივები		2,289,404.00	829,898.00	44,081.00
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები				
ანარიცხები	3	1,182,255.00	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები				
გამომუშავებელი შემოსავალი	4	102,933.00	93,614.00	-
სხვა ვალდებულებები	5	67,856.00	-	-
სულ ვალდებულებები		1,353,044.00	93,614.00	-
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	6	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	6	936,360.00	736,285.00	44,081.00
სულ საკუთარი კაპიტალი		936,360.00	736,285.00	44,081.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,289,404.00	829,899.00	44,081.00

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2,466,339.00	2,065,833.00
სხვა	-	243.00
სულ შემოსავალი	2,466,339.00	2,066,076.00
გაყიდვების თვითღირებულება	(1,325,055.00)	(868,169.00)
საერთო მოგება	1,141,284.00	1,197,907.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(236,224.00)	(139,030.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(27,730.00)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(677,255.00)	(366,673.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(941,209.00)	(505,703.00)
საოპერაციო მოგება	200,075.00	692,204.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	200,075.00	692,204.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	200,075.00	692,204.00

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		31/12/2024
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადები		3,985,619.84
საფინანსო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადები		-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,636,160.00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-
		598,366.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,947,825.84

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31/12/2024

კაპიტალი

-

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

936,360.00

სულ საკუთარი კაპიტალი

936,360.00

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს სპექტრი ს/კ 424615232, არის შუზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 08 აგვისტოს. კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ირაკლი ბეურაიძე 100%

კომპანიის საქმიანობაა სამშენებლო სფერო.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ანგარიშგება მოიცავს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და 2022, 2023 და 2024 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს, 2024 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი განისაზღვრება კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშგება წამოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე.

კომპანია ფინანსურად სტაბილურია, რასაც ადასტურებს 2024 წლის ბოლოს გაზრდილი კაპიტალი და აქტივების რაოდენობა.

კომპანიას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები და ოპერაციული შესაძლებლობები, რათა გააგრძელოს საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

კომპანიის საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გამოკლებით.

კრედიტით გაყიდვების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება მაშინ, როცა საქონელი მიწოდებულია და საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცა, მიუხედავად გადახდის თარიღისა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს, ანაზღაურებად შემენის გადასახადებსა და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს.

რემონტისა და მოდერნიზაციის ხარჯები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდის აქტივის ექსპლუატაციის ვადას ან წარმადობას, აღირიცხება აქტივის ნაწილად და ემატება მის საბაზრო ღირებულებას. სხვა ტექნიკური მომსახურების ხარჯები კი აღიარებულია პერიოდის ხარჯად.

აქტივებისთვის ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება თანაბრად

განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მიღება. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივების ჩამოწერისას შედის საქმიანობის შედეგების ანგარიშში.

კომპანიის ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

შენობები - 20 წელი

მანქანა-დანადგარები - 10 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი

სხვა აქტივები - 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებად კომპანიის ბალანსზე აღირიცხება კომპიუტერული პროგრამები, ლიცენზიები, სასაქონლო ნიშნები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს ისეთ მარაგებს, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესში, ასევე, გასაყიდად გამზადებულ მზა პროდუქციას. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის პირდაპირ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებსა და ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან. მარაგების აღრიცხვა და ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში ლარში, საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1	1,947,826.00
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში			918,150.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში			1,029,676.00
ძირითადი საშუალებები		2	341,578.00
სატრანსპორტო საშუალებები			297,498.00
ხელსაწყოიარაღები			44,080.00
სავაჭრო ვალდებულებები		3	1,182,255.00
მიღებული ავანსები			1,096,824.00
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები			85,431.00
საგადასახადო ვალდებულებები		4	102,933.00
საგადასახადო ვალდებულებები			102,933.00
სხვა ვალდებულებები		5	67,856.00
დამფუძნებლისგან ნასესხები თანხები			67,856.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6	936,360.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)			936,360.00

3. რისკების მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სისტემის შემუშავებასა და ზედამხედველობაზე. ეს პროცესი მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და მართვას კომპანიის საქმიანობაზე მათი გავლენის გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკი საკრედიტო რისკი

გულისხმობს იმ საფრთხეს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია განიცდის ფინანსურ დანაკარგს. ეს რისკი, ძირითადად, დაკავშირებულია კომპანიის სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან. კომპანიის მიზანია, შეაფასოს თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობა და შეინარჩუნოს უსაფრთხო საკრედიტო პოლიტიკა, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ფინანსური დანაკარგები.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან მისი ვალდებულებები და შემოსავლები ძირითადად დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ლარის კურსის მერყეობამ შესაძლოა გაზარდოს იმპორტის ხარჯები და გავლენა მოახდინოს კომპანიის მოგებაზე.


რისკების მართვის პროცესში ყურადღება გამახვილებულია კომპანიის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, რათა ხელმძღვანელობამ სრულად შეძლოს კომპანიის რისკების მონიტორინგი, შეფასება და მათზე დროული რეაგირება.

4. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკონტროლებს გარემოებებს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

შპს სპექტრი - დირექტორი

01 აპრილი 2025 წელი



ირაკლი ბეჟურაიძე